ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №43 (10184), 24 ოქტომბერი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.

სოფელ ჯუმათში წყალ-მომარაგების სისტემის მშენებლობა დასრულდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუმათში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა დასრულდა. ოზურგეთის გამგეობის ინფორმაციით, ჯუმათში ეკოლოგიურად სუფთა, ლაბორატორიულად შემოწმებული სასმელი წყლით დღეიდან 470 აბონენტი ისარგებლებს. წყალმომარაგების სისტემის მშენებლობაზე 1 511 900 ლარი დაიხარჯა. დასრულებულ სამუშაოებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე მოადგილეებთან ერთად გაეცნო.

„დავასრულეთ კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი. ჯუმათის მოსახლეობას 25 წლის მანძილზე წყალმომარაგება შეწყვეტილი ჰქონდა. გასულ წელს დავიწყეთ სამშენებლო სამუშაოები, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში განხორციელდა. სამუშაოების სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 511 900 ლარს შეადგენს. მუნიციპალიტეტი აგრძელებს ზრუნვას სხვა სოფლების წყალმომარაგებაზეც," – აღნიშნა მერაბ ჭანუყვაძემ.

სოფელ ჯუმათში ჯამში 6 კილომეტრიანი ცენტრალური მაგისტრალი მოეწყო. დამონტაჟდა საფილტრე-საქლორატორო სადგური და წყალშემკრები რეზერვუარი. დასრულებულია გამრიცხველიანებაც.

ციტრუსოვანთა კრეფა გურიაში თვის ბოლოსთვის დაიწყება

ალიონი. ციტრუსოვანთა მოსავლის აღება გურიაში უამინდობის გამო, ჯერჯერობით არ დაწყებულა. ამ დროისთვის მხოლოდ რამდენიმე ტონა მანდარინია მოკრეფილი, ისიც ქვედა ზონაში, სადაც ამინდები შედარებით უკეთესია. ძირითადი მოსავლის კრეფა თვის ბოლო დღეებში დაიწყება და დეკემბრის ბოლომდე გასტანს.

გურიის გუბერნატორ

გვ-2

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

„ცოტა გურული იუმორით ვიტყვი, რომ „ოზურგეთელებს ნამეტანი გაუმართლათ, რადგან პარლამენტში, ერთის ნაცვლად, ორი მაჟორიტარი დეპუტატი ეყოლებათ - ოზურგეთში უკვე გამარჯვებული არჩილ თალაკვაძე და მე. ჩვენ ერთად ბევრი კარგი საქმის გაკეთებას ვაპირებთ".

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„იმედი გვაქვს, არჩევნების მეორე ტურიც კარგად ჩაივლის“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთი დაბისა და 5 სოფლის (ნასაკირალი (2 უბანი), ძიმითი, ნაგომარი, ჯუმათი, სილაური, ბაილეთი), ამომრჩეველი ხმას №60 მაჟორიტარი ოლქში მეორე ტურში გასულ კანდიდატებს ნინო წილოსანს (№41, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) და დამოუკიდებელ კანდიდატს აკაკი ჩხაიძეს (№41) მისცემენ. თუ როგორ წარიმართა არჩევნების პირველი ტური, რა გამოწვევები აქვს მეორე ტურს, ამაზე გაზეთ „ალიონს“ ლანჩხუთის №61 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თამარ ბისიეშვილი** ესაუბრა:

– №60 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 78 უბანია გახსნილი. აქედან ოზურგეთში 7 უბანი, ჩოხატაურში – 38, ლანჩხუთში –33 უბანი. ამ საარჩევნო ოლქში 50 261 ამომრჩეველი ირიცხება. მაჟორიტარებიდან არჩევნების მეორე ტურში ნინო წილოსანი და აკაკი ჩხაიძე გავიდნენ.

–ძირითადად რა დარღვევები დაფიქსირდა უბნებზე და რამდენი საჩივარი შემოვიდა საოლქო-საარჩევნო კომისიაში.

–ჩვენს ოლქში მხოლოდ პროცედურული დარღვევები დაფიქსირდა. საოლქო კომისიაში სულ 16 საჩივარი შემოვიდა, საიდანაც 2 სრულად დავაკმაყოფილეთ, 4-ნაწილობრივ.

ჩოხატაურის ერთ-ერთ უბანზე საარჩევნო ბიულეტენის ყუა არ იყო დალუქული. საჩივარი „სამართლიანმა არჩევნებმა“ შემოიტანა.

ასევე დავაკმაყოფილეთ „ბურჯანაძე -დემოკრატიული მოძრაობის“ საჩივარი, რომელიც ლესის №10 საარჩევნო უბანზე მომხდარ დარღვევას შეეხებოდა. უბნის კომისიის თავმჯდომარემ ხელმოწერის გარეშე დატოვა შემაჯამებელი ოქმი.ნაწილობრივ დავაკმაყოფილეთ საიას მიერ შემოტანილი საჩივარი, რომელიც ქ. ლანჩხუთის №37 საარჩევნო უბანზე დაფიქსირებულ დარღვევას შეეხებოდა. შემაჯამებელ ოქმს არ ჰქონდა ბეჭედი დასმული.

– როგორი იყო ამომრჩევლების აქტივობა 10 ოქტომბერს?

–საკმაოდ კარგი. არჩევნებზე ამომრჩევლების 65,7 პროცენტი მივიდა და მისთვის საურველ პარტიას თუ კანდიდატს მისცა ხმა. არჩევნების ეუთოს და სხვა საერთაშორისო მისიის დამკვირვებლები ესწრებოდნენ და შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

–როგორ ემზადებით არჩევნების მეორე ტურისათვის.

- გვაქვს საკმაო გამოცდილება, რომ არჩევნების მეორე ტური კვლავ მშვიდ გარემოში გაიმართოს. ვატარებთ ტრენინგებს. ამომრჩევლებს უბნებზე ხმის მისაცემად სასურველი გარემო დახვდებათ. დანარჩენი მათი გადასაწყვეტია...

ესაუბრა
ნუგზარ ასათიანი

უილიამ ლაჰიუ - არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იყო, რაც საქართველოს ევროატლნატიკური კურსისთვის დიდი მიღწევაა

საერთაშორისო საზოგადოების შეფასებით, საქართველოში საპარლამენტო არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იყო. ეს საქართველოს ევროატლნატიკური ინტეგრაციის კურსისთვის დიდი მიღწევაა, – შესაბამისი განცხადება ჟურნალისტებთან საუბარში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაჰიუმ გააკეთა.

„საერთაშორისო საზოგადოებამ შეაფასა არჩევნები, როგორც თავისუფალი და სამართლიანი. არჩევნებს თან სდევდა გარკვეული პრობლემები, მაგრამ არჩევნების დროს ამაში უჩვეულო არაფერია. დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, მათ შორის აშშ-შიც, პერიოდულად იჩენს თავს მსგავსი პრობლემები. ამიტომ, საკითხი იმაშია, რომ ხელისუფლება დგამს გამჭვირვალე ნაბიჯებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ არჩევნები ჩატარდა

სამართლიანად და ისეთი ინციდენტების გამოძიება, როგორიცაა ძალადობა, მიმდინარეობს სრულად და გამჭვირვალედ და ეს ხდება კიდეც. ეს დიდი მიღწევაა საქართველოსთვის და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსისთვის“,– განაცხადა უილიამ ლაჰიუმ.

http://www.interpressnews.ge

შავი ზღვის მარგალიტის" 5 მილიარდიანი პროექტი იწყება

დასავლეთ საქართველოში 5 მილიარდიანი პროექტი იწყება. საუბარია, პროექტ „შავი ზღვის მარგალიტის" მშენებლობაზე, რომელიც თავის თავში რამდენიმე პროექტს მოიცავს, მათ შორისაა გონიოს ინდუსტრიული ზონა. შესაბამისი მემორანდუმი ზონის ადმინისტრატორ კომპანია **ICBT Corp**-სა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან რამდენიმე კვირის წინ გაფორმდა.

პროექტი გონიოში 315 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე განხორციელდება. ასევე იგეგმება გურიაში და იმერეთში აგროსამრეწველო კომპლექსების მშენებლობა. იდეის ავტორი ქართული „ჯორჯიან

ბელარუს ბიზნეს ჯგუფია", რომელმაც პროექტის ფარგლებში რამდენიმე ქვეყნის ინვესტორთა ჯგუფი გააერთიანა და კომპანია **ICBT**-ად (ბიზნესისა და ტურიზმის საერთაშორისო ცენტრი" ჩამოყალიბდა.

ზონის ადმინისტრატორი ქართული კომპანია „კორპორაცია ბიზნესისა და ტურიზმის საერთაშორისო ცენტრი"-ს ხელმძღვანელი მერაბ დავითაძე „კომერსანტთან" აცხადებს, რომ მრავალმილიარდიან პროექტთან დაკავშირებით მემორანდუმებია გაფორმებული იმერეთის და გურიის გუბერნიებთან. როგორც დავითაძე ამბობს, რამდენიმე დღეში ინვესტორი საგარანტიო თანხას, 150 მილიონი დოლარის ოდენობით გამოყოფს, რომლის შემდეგაც კომპანიას სიმბოლურ ფასად (1 ლარად) იმერეთში, გურიაში და აჭარაში რამდენიმე ასეული ჰექტარი მიწის ნაკვეთი გადაეცემა.

მათ შორის, იმერეთში – 2. 500 კვადრატული მეტრი, გურიაში– 550 ჰექტარი, აჭარში – 99 ჰექტარი.

დავითაძის განცხადებით, რაც შეეხება მშენებლობის ნებართვას, ის მას შემდეგ გაიცემა, რაც ურბანული დაგეგმარება დასრულდება. ასევე გეოდეზია, ესკიზური პროექტი და მაკეტი. მისივე განმარტებით, საშუალოდ, მშენებლობის ნებართვის მიღებას 2 წელი დასჭირდება.

„მას შემდეგ რაც ტერიტორია ჩვენ გადმოგვეცემა, დავიწყებთ წინასაპროექტო სამუშაოებს და კვლევებს – აცხადებს დავითაძე.

ინდუსტრიული ზონა სამ ნაწილად იქნება დაყოფილი. პირველი ბიზნეს ობიექტების განთავსებას გულისხმობს, სადაც განთავსდება საფონდო ბირჟა, სალიზინგო კომპანიები და ბიზნეს სუბიექტები. მეორე ნაწილი ტურისტულ ზონას მოიაზრებს, სადაც მაღალი კლასის სასტუმროები განთავსდება. მესამე კი ვირტუალურ ზონას გააერთიანებს, სადაც **IT** ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის მშენებლობა იგეგმება.

დავითაძე ამბობს, რომ საინვესტიციო თანხა შეადგენს დაახლოებით 4,5–5 მილიარდ აშშ დოლარს. მისივე ინფორმაციით, პროექტით, ასევე იგეგმება გურიაში და იმერეთში აგროსამრეწველო კომპლექსების მშენებლობა.

გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე რამდენიმე თვის წინ პროექტ „შავ მარგალიტს" უპრეცენდენტოს უწოდებდა და აცხადებდა, რომ გურიის რეგიონში პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 20-მდე საწარმოს აშენება. მათ შორის იქნება, ქათმის ფერმა, მინის ტარის წარმოება, სანაყინე, ბავშვა კვება და ასე შემდეგ.

2015 წლის ივლისში კომპანიაში აცხადებდნენ, ბიზნეს მიმართულების მხრივ პროექტის ფარგლებში შეიქმნება საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი, რომლის ლიცენზიაზეც კომპანიას ეროვნულ ბანკისგან მზაობა აქვს. ლიცენზიის მიღება ზონის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ მოხდება.

„ამ ბანკის მეშვეობით მოხდება ტრანზაქციების განხორციელება. ჩვენმა პარტნიორებმა უკვე დააფინანსეს პირველადი სამუშაოების განხორციელება"-აცხადებდნენ კომპანიაში.

გარდა ამისა, 99 ჰექტარი მიწის ნაკვეთზე იგეგმება სამრეწველო ზონის შექმნა, რომელიც 18-20 მსხვილი საწარმოს ფუნქციონირებას ითვალისწინებს. ამ მიმართულებით დაახლოებით 800-850 მილიონი დოლარამდე ინვესტიციის განხორციელება იგეგმება.

დასაქმდება 20 000 ადამიანი. პროექტი გულისხმობს ტურისტულ მიმართულებასაც. პროექტის დასრულება 2019 წლის აპრილ-მაისში იგეგმება.

ციტრუსოვანთა კრეფა გურიაში თვის ბოლოსთვის დაიწყება

გია სალუქვაძის თქმით, „ნარინჯისფერი რთველი“ გურიაში ძალიან ორგანიზებული იქნება.

„ნატანებში გვაქვს ციტრუსების გადასამუშავებელი კერძო საწარმო „ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანია“. ის სრულ მზადყოფნაშია. მქონდა კომუნიკაცია მის მფლობელთან.ყველაფერი მზადყოფნაშია. ეს საწარმო სავსებით საკმარისია ციტრუსოვანთა მოსავლის დანაკარგის გარეშე ჩასაბარებლად.

რაც შეეხება ნაყოფის გადამუშავებასა და ექსპორტზე გატანას, გია სალუქვაძის თქმით, შარშან მანდარინის მოსავალი მთლიანად იყო მიღებული და გადამუშავებული,ყოველგვარი პრობლემების გარეშე:

„შარშან მანდარინის მოსავალი მთლიანად იყო მიღებული და გადამუშავებული, ყოველგვარი პრობლემის გარეშე: ამ საწარმოს აქვს საკმაოდ დიდი მოცულობის სამაცივრე დანადგარები. ხდება მანდარინის იმ დონეზე დამუშავება, რომ მას არ ემუქრება გაფუჭება. საქართველოდან ის მაცივრებით გადის. წლეულს ციტრუსის ნორმალურ მოსავალს ველით. ნორმალური ზაფხული იყო, სტიქიამ ამ კულტურას დიდი ზიანი ვერ მიაყენა. ყველას აინტერესებს ჩასაბარებელი ფასი. ჩასაბარებელ ფასს ნაყოფის ხარისხი განსაზღვრავს. ესქსპორტი კი მოთხოვნის მიხედვით განისაზღვრება“.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ნინო წილოსანი: „მე უნდა შევასრულო ამ ხალხისთვის მიცემული დაპირებები“

ლანჩხუთი-ჩოხატაური არჩევნების მეორე ტურისთვის ემზადება. რეგიონმა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელ ნინო წილოსანსა და დამოუკიდებელ კანდიდატ აკაკი ჩხაიძეს შორის უნდა გააკეთოს არჩევანი.

„არ დეიზარო“ - გურულებისადმი ამ მოწოდებით დაიწყო მეორე ტურის საარჩევნო კამპანია ნინო წილოსანმა, რომელსაც პირველ ტურში მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაუჭირა მხარი.

— ქალბატონო ნინო, მეორე ტურის წინ ახალი რა გაქვთ სათქმელი იმ ამომრჩევლისთვის, ვინც პირველ ტურში თქვენს ოპონენტებს დაუჭირა მხარი?

- პირველ რიგში, მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც გამოიჩინა სამოქალაქო პასუხისმგებლობა და მონაწილეობა მიიღო არჩევნებში... და ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ვინ ვის მისცა ხმა. რა თქმა უნდა, მე ვარ ამაყი, რომ ყოველმა მეორე ამომრჩეველმა მხარი დამიჭირა.

მე თავიდანვე ვაცნობიერებდი, თუ რას ნიშნავს, იყო პარლამენტის წევრი და, მით უმეტეს, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმოადგენდე ლანჩხუთს, ჩოხატაურს და ოზურგეთს. მოგეხსენებათ, ლანჩხუთი-ჩოხატაურის გაერთიანებულ საარჩევნო ოლქში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 7 სოფელი შედის. ცოტა გურული იუმორით ვიტყვი, რომ ოზურგეთელებს ნამეტანი გაუმართლათ, რადგან პარლამენტში, ერთის ნაცვლად, ორი მაჟორიტარი დეპუტატი ეყოლებათ - ოზურგეთში უკვე გამარჯვებული არჩილ თალაკვაძე და მე. ჩვენ ერთად ბევრი კარგი საქმის გაკეთებას ვაპირებთ.

— ანუ თქვენ 30 ოქტომბერს გამარჯვებას ელოდებით?

— იცით, პირველ ტურში ჩემმა შედეგმა უკვე ბევრი გააოცა, გამომდინარე იქიდან, რომ საკმაოდ გვიან ჩავერთე საარჩევნო კამპანიაში. გურულები ბრძენი ხალხია და მათ არ გაჭირვებიათ იმის გაანალიზება, ვინ უკეთშეძლებს მათი პრობლემების მოგვარებას, ვის უფრო შესტკივა მათზე გული და ვინ უკეთ მიიტანს მათ სათქმელს ადგილობრივ, საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

მე პირველ ტურში მიღწეული შედეგი, მინიმუმ, უნდა გავიმეორო და მჯერა, რომ მეორე ტურში უკეთესი რეზულტატი იქნება. ამასთან, ახლა ჩვენ უფრო მეტ კონკრეტულ პროექტს და ინიციატივას წარვუდგენთ ამომრჩეველს და ეს არ იქნება ზოგადი დაპირებების კამპანია. ახლა მეტ ყურადღებას დავუთმობ ამომრჩევლამდე ჩემი სათქმელის, ჩემი გზავნილების უკეთ მიტანას.

— როგორ ოპონირებას გაუწევთ მეორე ტურში თქვენს ერთადერთ კონკურენტს?

- ვისურვებდი, რომ წინასაარჩევნო პერიოდი იდეებისა და ინიციატივების შეჯიბრი იყოს, თუმცა, სამწუხაროდ, მთლად ასე არ გამოვიდა. ძირითადი ოპონენტები არ ერიდებოდნენ „აკრძალული ილეთების“ გამოყენებას და, ვფიქრობ, ამ მხრივ არც მეორე ტური იქნება გამონაკლისი. თუმცა, პირადად მე პირობას გაძლევთ, რომ ჩემი გუნდი არ აჰყვება მსგავსი სტილის დაპირისპირებას. თუმცა მე მზად ვარ, ღია დებატებში ნებისმიერ დროს და ადგილას შევხვდე ჩემს ოპონენტს და ერთმანეთს იდეებითა და პროექტებით შევეჯიბროთ. ეს უფრო სამართლიანი იქნება.ხალხმა უნდა იცოდეს, როგორ იმუშავებს და რას მოუტანს რეგიონს მათი რჩეული.

— და რას მოუტანს თქვენი დეპუტატობა რეგიონს?

— სანამ ჩემი, როგორც დეპუტატის საქმიანობის პრიორიტეტებზე გეტყვით, მინდა, აღვნიშნო, რომ მე მზად ვარ, პარლამენტში ყოფნის პერიოდში მაქსიმალურად გამაკონტროლოთ და ხშირად გამახსენოთ ჩემი დაპირებები.

ახლა, რაც შეეხება ჩემს პრიორიტეტული მიმართულებებს... სოფლის მეურნეობის, განათლების, ინფრასტრუქტურის და ტურიზმის განვითარება, სხვა საკითხებთან ერთად, ის ძირითადი სფეროებია, სადაც კონკრეტული პროექტების განხორციელებას, ჩემს გუნდთან ერთად, მაქსიმალურად შევუწყობ ხელს.

სოფლის მეურნეობის განვითარება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა გადამწყვეტი პირობა იქნება რეგიონის კეთილდღეობისთვის.

ჩვენ ადგილობრივი ფერმერებისთვის შევქმნით სპეციალურ რესურსცენტრს, სადაც გავაცნობთ სიახლეებს და მივაწვდით ინფორმაციას იმ სახელმწიფო პროგრამების შესახებ, რომლებითაც ნებისმიერ გლეხს შეუძლია სარგებლობა.

ამასთან, „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან“ ერთად, შევქმნით ბიზნესინკუბატორს, სადაც მოვიწვევთ წარმატებულ ბიზნესმენებს, გვექნება გადამზადების და ტრენინგების პროგრამა, რაც ასევე, ძირითადად, ფერმერული მეურნეობის და წვრილი ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს.

განათლების კუთხით მნიშვნელოვანია ალტერნატიული საშუალებებით და თანამედროვე ტექნოლოგიებით ახალი ინფორმაციის მიღების სივრცეების შექმნა, სადაც ადგილობრივი ახალგაზრდები შეძლებენ, დისტანციურად ისწავლონ, გაიარონ პოპულარული ონლაინკურსები და შეძლონ საკუთარი იდეებისა და პროექტების სხვებისთვის გაზიარება. ამასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო იდეა გვაქვს.

ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავ გამოწვევად რჩება. ჩვენ გავაგრძელებთ გზების მშენებლობას, გაზიფიკაციის ქსელის განვითარებაზე ზრუნვას და სხვა მნიშვნელოვან პროექტებს, რომლებიც უკვე გათვალისწინებულია 2017 წლის ბიუჯეტში.

ისეთი ხმა ექნება, რომელსაც ანგარიშს გაუწევენ.

ტურიზმის მიმართულებითაც ბევრი სამუშაოა. წინ გვაქვს ბახმაროს რეაბილიტაცია. იგი მსოფლიო დონის, ოთხი სეზონის კურორტად უნდა ვაქციოთ, რაშიც მე აქტიურ მონაწილეობას მივიღებ.

ასევე, გურიის ტერიტორიაზე არსებობს კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების შესანიშნავი ძეგლები, რომლებსაც მეტი მოვლა და ერთიან ტურისტულ რუკაზე დატანა სჭირდება. ლანჩხუთი და ჩოხატაური, პირველ რიგში, ქართველ და შემდეგ უკვე უცხოელ ტურისტებს ახალი კუთხით უნდა დავანახოთ.

ეს ჩემი, როგორც პარლამენტარის, საქმიანობის ზოგადი მიმართულებებია.

— სამწუხაროდ, რეგიონი თავის ზოგიერთ რჩეულს არჩევნების მეორე დღიდან ველარ ხედავს მომდევნო არჩევნებამდე...

— გარწუნებთ, ჩემთვის არჩევნების მეორე დღეც ისეთივე დაძაბული და საქმიანი იქნება, როგორიც იყო ნებისმიერი დღე კენჭისყრამდე. უკვე ახლა ვემზადები ჩემს გუნდთან ერთად, რათა მყარი გარანტიები მოვიპოვო იმ პროექტების და იდეების ხორცშესასხმელად, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში წარვუდგინეთ ლანჩხუთელებს, ჩოხატაურელებს, ოზურგეთელებს. მე უნდა შევასრულო ამ ხალხისთვის მიცემული დაპირებები და სრულად ვგრძნობ ამ პასუხისმგებლობას.

მინდა, აღვნიშნო, რომ ჩემთვის მთავარი აქტივი, მთავარი ღირებულება ხალხია, ვისიც ყველაზე მეტად მეიმედება. ამ პერიოდში ჩემ გარშემო უძლიერესი გუნდი შეიკრიბა - შტაბის წევრები, კოორდინატორები, მხარდამჭერები, რომელთა შორის ბევრი ახალგაზრდაა და მე შემიძლია, დარწმუნებით ვთქვა, რომ ამ ხალხთან ერთად, ბოლომდე მზად ვარ პარლამენტის წევრობისთვის.

რატომ პირდაპირი განკარგვის წესით და არა აუქციონით?

მარადიული საკამათო თემა ოპოზიციონერ და ოპოზიციონერ დეპუტატებს შორის

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 ოქტომბრის საკრებულოს სხდომაზე მხოლოდ ორი საკითხი განიხილეს:

— „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 26.26.55.192 და 26.26. 55.025) გაერთიანების თაობაზე“, — ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

— სსიპ თვითმმართველი ქალაქი — ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული ქონების — ქალაქ ოზურგეთში,ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე 113 კვ/მ ფართობის მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.-26.47.240), პირდაპირი განკარგვის წესით (ოჯარის უფლებით), 30 წლის ვადით გაცემის შესახებ, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

თუ პირველი საკითხი, რამდენიმე შეკითხვაზე შესაბამისი პასუხის მიღების შემდეგ, თითქმის ერთხმად იქნა მიღებული,მეორე საკითხს საკმაოდ მწვავე კამათი მოჰყვა. დეპუტატი ლევან მგელაძე,ბიუჯეტში შემოსავლების გაზრდის თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებს მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონზე გატანას:

,,ისევ იმ საკითხს ვუბრუნდები, რატომ ხდება მუნიციპალიტეტის ქონების გაცემა ასე პრინციპულად პირდაპირი განკარგვის წესით, თანაც მაინცა და მაინც 30-წლიანი ოჯარის უფლებით და რატომ არ გაგვაქვს აუქციონზე“ — ეს კითხვა ლევან მგელაძისგან არაერთხელ მოგვისმენია.

საკრებულოს თავმჯდომარის თქმით, აუქციონთან შედარებით, პირდაპირი განკარგვის წესს იმიტომ ანიჭებენ უპირატესობას, რომ რამდენიმე აუქციონი საერთოდ ჩაუვარდათ:

,,თქვენც იცით,რომ აუქციონზე რამდენიმე ობიექტი გავიტანეთ, მაგრამ უშედეგოდ, აუქციონი ჩავარდა. ამიტომ ვანიჭებთ უპირატესობას პირდაპირი განკარგვის წესს. რაც შეეხება ოჯარის ვადას, მოიჯარის თხოვნას ვითვალისწინებთ“. — არც ეს პასუხი მოგვისმენია პირველად საკრებულოს თავმჯდომარისგან.

ხმათა უმრავლესობით კითხი დადებითად გადაწყდა, თუმცა მას მხარი არ დაუჭირეს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა.

სხდომის დასასრულს, საკრებულოს ოპოზიციონერმა წევრმა გოჩა ძიძისტარიშვილმა, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატი, ახლახან დამთავრებულ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა, თავის გამოსვლაში დღევანდელი ხელისუფლება ,,ივანიშვილის ხროვად“ მოიხსენია:

,,ქვეყანაში ყველაფერი ასე წყდება, ივანიშვილის ხროვა ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ყველაფერი ბოლომდე ჩაიგდოს ხელში“.

ძიძისტარიშვილის ამ რეპლიკას იქვე გამოეხმაურა საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი და ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასილ ჩიგოგიძე:

,,რას ჰქვია ,,ივანიშვილის ხროვა“?! სხდომაზე ბრძანდებით, სიტყვები შეარჩიეთ და ბოდიში მოიხადეთ. ჩვენ არავის ხროვა არ ვართ. ვინ ვინ არის საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა, სადაც მხოლოდ 500-მე ამომრჩეველმა დაგიჭირათ მხარი. როგორც საკრებულოს დეპუტატი და როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, აქ სახალხოდ, კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ბიძინა ივანიშვილს და ხვალ გეპატიჟებით სპექტაკლზე. ეს იქნება ბოლო სპექტაკლი ძველ სცენაზე. აქედან ორწელიწადნახევარში, მაქსიმუმ სამ წელიწადში, სწორედ ბიძინა ივანიშვილის მეოხებით, ჩვენ, თქვენ გვექნება ახალი, განახლებული, თანამედროვე თეატრი“.

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ლაითური	26.25.08.120	10 000	400,00	200,00	50,00	4000,00
2	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ლაითური	26.25.12.100	11 122	444,88	222,44	50,00	4448,80
3	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. მერია	26.05.38.063	2 300	92,00	46,00	50,00	920,00
4	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. შრომა	26.02.23.080	9 150	366,00	183,00	50,00	3660,00
5	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. ცხემლისხიდი	26.20.15.104	850	34,00	17,00	50,00	340,00
6	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. ლიხაური	26.16.19.168	4 905	196,20	98,10	50,00	1962,00
7	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. მერია	26.05.29.067	4 800	192,00	96,00	50,00	1920,00
8	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. მელექედური	26.13.16.068	20 000	800,00	400,00	50,00	8000,00
9	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ლაითური	26.25.07.084	15 005	600,20	300,10	50,00	6002,00
10	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა წასაკირალი	26.29.23.069	3 425	137,00	68,50	50,00	1370,00
11	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. ცხემლისხიდი	26.20.17.099	1 000	40,00	20,00	50,00	400,00
12	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. შრომა	26.02.12.131	712	28,48	14,24	50,00	284,80
13	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. ბახვი	26.23.21.075	4 085	163,40	81,70	50,00	1634,00
14	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა ლაითური	26.25.08.134	2 955	118,20	59,10	50,00	1182,00
15	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა წარუჯა	26.27.05.102	4 780	191,20	95,60	50,00	1912,00
16	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. მერია	26.05.39.097	2 000	80,00	40,00	50,00	800,00
17	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. მერია	26.05.39.098	5 000	200,00	100,00	50,00	2000,00
18	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. შრომა	26.02.10.085	2 000	80,00	40,00	50,00	800,00
19	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. შრომა	26.02.23.082	2 000	80,00	40,00	50,00	800,00
20	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა წარუჯა	26.27.08.153	6 422	256,88	128,44	50,00	2568,80
21	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. მაკვანეთი	26.14.14.173	1 490	59,60	29,80	50,00	596,00
22	სასოფლო-სამეურნეო მიწა	დაბა წასაკირალი	26.29.09.081	3 980	159,20	79,60	50,00	1592,00
23	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. შრომა	26.02.15.108	1 700	68,00	34,00	50,00	680,00
24	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ.ოზურგეთი	26.12.16.133	39 187	979,68	489,84	50,00	9796,75
25	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ.ოზურგეთი	26.12.16.132	22 460	561,50	280,75	50,00	5615,00
26	სასოფლო-სამეურნეო მიწა	სოფ. ჭანიეთი	26.15.08.099	42 000	1260,00	630,00	50,00	12600,00

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
* „ბე“-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
* მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
* პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
* ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
* სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
* მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა) ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.
* სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემძენი შეიძლება იყოს კანონით განსაზღვრული პირი.
* „მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205;
"
* „ბე“-ს საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე:
- არასაცხოვრებელი შენობა 300903313; - საცხოვრებელი შენობა 300903306;
- არასასოფლო მიწა 300903390; - სასოფლო-სამეურნეო მიწა 300903394.
* დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიაში“; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
* „აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2016 წლის 24 ოქტომბრიდან 22 ნოემბრის 12 სთ-მდე;"
* აუქციონი ჩატარდება **2016 წლის 22 ნოემბერს, 14 სთ-ზე** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში;
* „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია“
ტელ: 599 704 770, 595 906 305, 599 333 223."

დ

მეორე ტურის არჩევანი

„ნაციონალურმა მოძრაობამ" მეორე ტურის საარჩევნო კამპანიის მთავარ თემად გაიხადა საუბარი იმ საფრთხეზე, რომელიც თითქოს „ქართული ოცნების" მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას ახლავს. თემას გარკვეულწილად აჰყვნენ პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიების წარმომადგენლებიც და მიმდინარეობს პოზიციების გარკვევა, თუმცა, მიუხედავად ცალკეული წინააღმდეგობრივი გამონათქვამებისა, ჯერ არცერთ პარტიას ოფიციალურად არ განუცხადებია, მეორე ტურში ვის დაუჭერს მხარს. ამ ტიპის პოლიტიკური გადაწყვეტილებები, როგორც წესი, მნიშვნელოვნად განაზღვრავენ პარტიების სამომავლო პერსპექტივას და ადგილს.

თემა აქტიურად განიხილება მედიაში და სოციალურ ქსელშიც, თუმცა, ვერავინ ამბობს, საკონსტიტუციო უმრავლესობის მხრიდან კონკრეტულად რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს საზოგადოებას და, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება რომ თავად ამ დაუსაბუთებელ საფრთხეებზე საუბრის კამპანიამ შეიყვანოს საზოგადოება შეცდომაში.

იმისი ალბათობა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა კონსტიტუციაში ისეთ ცვლილებებს შეიტანს, რაც ხელისუფალს ძალაუფლების უზურპირების და ბოროტად გამოყენების საშუალებას მიცემს, რასაკვირველია, არსებობს! ასეთი რამ ბევრჯერ მომხდარა სხვაგან და ჩვენთანაც მოხდა რამდენიმე წლის წინ.

საკაშვილმა საკუთარი ძალაუფლების მუდმივად შენარჩუნების მიზნით ჯერ საკუთარ ტანზე მოირგო კონსტიტუცია, შემდეგ კი კვორუმი 2/3-დან 3/4-მდე აწია, რათა ამ კონსტიტუციაში ცვლილებები ვეღარ შეეტანათ.

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებები რომ აუცილებლად უნდა შევიდეს, ამის შესახებ, ფაქტობრივად, სრული თანხმობა არსებობს და რასაც დღესაც ადასტურებს ამ სფეროს ყველა სპეციალისტი. საკონსტიტუციო ცვლილებები წარმოადგენდა "ქართული ოცნების" ერთ-ერთ მთავარ დაპირებას, თუმცა, წინა მოწვევის პარლამენტში ვერ შეძლო ამის გაკეთება, რადგან არ ჰყავდა საკმარისი უმრავლესობა.

აქედან გამომდინარე, საქართველოში დღესაც საკაშვილის მიერ დამახინჯებული კონსტიტუცია მოქმ„ნაციონალური მოძრაობის" კამპანიაც იმას დამტკიცებას ცდილობს, რომ მასში ცვლილებების შეტანა მოქალაქეებს საფრთხეს უქადის, თუმცა, რა საფრთხეს, ამას არავინ ამბობს...

რასაკვირველია, ასეთი საფრთხე შეიძლება იყოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, მაგრამ ამისთვის სულაც არ არის საჭირო კონსტიტუციაში კიდევ რაიმე დამატებითი ცვლილებების შეტანა, საკაშვილმა ყველა ასეთი ცვლილება უკვე შეიტანა. თუ ხელისუფლებას მსგავსი სურვილი აღმოაჩნდა და მოქალაქეებმა ამისი ნება დავრთეთ, ავტორიტარიზმი მშვენივრად განხორციელდება სწორედ არსებული კონსტიტუციის პირობებში, რაც ხდებოდა კიდეც "ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის დროს.

ტრადიციისამებრ, ასეთ შემთხვევებში მთავარი სამიზნე და დარტყმის ობიექტი ბიძინა ივანიშვილი ხდება ხოლმე და ახლაც მთავარ მოწოდებად ისმის, რომ ივანიშვილს არ მივცეთ საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების საშუალებაო, თუმცა, არავის მოუყვანია ოდნავ მაინც დამაჯერებელი არგუმენტი იმის სამტკიცებლად, რომ ბიძინა ივანიშვილმა შეიძლება რაიმე ფორმით წაახალისოს იმგვარი საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც ავტორიტარული მმართველის შექმნას და ძალაუფლების უზურპაციას შეუწყობს ხელს. მით უმეტეს, მას უკვე აქვს ასეთი ტიპის ხელისუფლებასთან ჯერ თანამშრომლობის და შემდეგ მწვავე დაპირისპირების დიდი გამოცდილება...

კონკრეტულად ვერც იმას ამბობს ვინმე, რომ ბიძინა ივანიშვილი საკონსტიტუციო ცვლილებებით აპირებს საკუთარი როლის და ადგილის დაკანონებას, მითუმეტეს, რომ მას მართვის არანაირი ფორმალური ბერკეტი არ გააჩნია.

ანუ ბიძინა ივანიშვილი კონსტიტუციას საკუთარ თავზე ვერ მოირგებს.

ამგვარი საფრთხე არც პრემიერ-მინისტრიდან მომდინარეობს, ვინაიდან თეორიულადაც კი არ არის მოსალოდნელი კონსტიტუციაში ისეთი ცვლილების შეტანის მცდელობა, რაც მას ავტორიტარად გადააქცევდა და ეს ასეა არა მხოლოდ მისი პიროვნული თვისებების გამო (თუმცა, ასეთი მისწრაფება მას ნამდვილად არ ეტყობა), ამგვარ განზრახვას წინ აღუდგებოდა ძალიან ბევრი ვინმე, იგივე ბიძინა ივანიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობა, რიგითი მოქალაქეები და ეს დაბრკოლება ნამდვილად არ იქნებოდა იოლად გადალახვადი.

ასე რომ, არაფერი მეტყველებს იმაზე, თითქოს საპარლამენტო უმრავლესობის მიერ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა საფრთხეს შეუქმნის მოქალაქეების თავისუფლებას და დემოკრატიას. პირიქით, დღემდე პრობლემად სწორედ ის რჩება, რომ თუ ვინმე ძალაუფლების უზურპირებას მოინდომებს, მას ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე მეტად სააკაშვილის მიერ დატოვებული კონსტიტუცია გამოადგება და მსგავსი რისკებისგან დაზღვეულები რომ ვიყოთ, ჩვენს კონსტიტუციაში საჭიროა ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც ძალაუფლებას დაბალანსებს.

ჩვენ დღეს საპარლამენტო უმრავლესობის მიერ კონსტიტუციას შეცვლის საფრთხე კი არ გვემუქრება, არამედ მთავარი საფრთხე ის არის, რომ „ოცნებამ" საკმარისი უმრავლესობა ვერ შეიყვანოს და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ვერ შეძლოს.

ისიც გასათვალისწინებელია, თუ ამ მოწვევის პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მოგროვდა, ეს კიდევ უფრო ვეღარ მოხერხდება შემდგომი მოწვევის პარლამენტებში და, შესაბამისად, სახელმწიფოს მოუწევს ცხოვრება იმ კონსტიტუციით, რომელიც ძალიან შორს არის სრულყოფისგან და რასაც ყველა ამ დარგის სპეციალისტი აღიარებს.

აქედან გამომდინარე, ამ საკითხით დაინტერესებული აქტიური მოქალაქეები წესით ყოველდღე უნდა შევახსენებდეთ პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობის შესახებ და ამ ვითარებაში სხვადასხვა ტიპის მოწოდებები მეორე ტურში ნაციონალების კანდიდატების მხარდაჭერის შესახებ, ვითომდა დემოკრატიის დასაცავად, რასაკვირველია, ისევ „ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო კამპანიის ნაწილად რჩება და მიზნად ისახავს, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლოს კონსტიტუციის შესაცვლელად აუცილებელი ხმების მოგროვება "ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერის გარეშე.

ნიშანდობლივია, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობიდან მომდინარე საფრთხის თემა დღეს ააგორა სწორედ „ნაციონალურმა მოძრაობამ", რომელმაც, თავის დროზე, საკონსტიტუციო უმრავლესობა გამოიყენა და ავტორიტარულ მმართველობას მოარგო კონსტიტუცია,

ამ კამპანიით იმის მიღწევას ცდილობენ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება შეუძლებელი გახდეს „ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერის გარეშე, ანუ კონსტიტუციის გასაღები ნაციონალურ მოძრაობას" უნდა ედოს ჯიბეში, რაც მას საშუალებას მიცემს, რომ ოთხი წლის განმავლობაში ევაჭროს ხელისუფლებას და ოპოზიციის უპირობო ლიდერის და გამართიანებლის როლი შეიძინოს, რაც ახალი პოლიტიკური სიცოცხლის პერსპექტივას უხსნის.

ასე რომ, საკონსტიტუციო უმრავლესობასთან დაკავშირებით აგორებული კამპანიის მთავარი თემა სინამდვილეში არის ბრძოლა „ნაციონალური მოძრაობის" გადასარჩენად და სწორედ ამიტომ, პარტიებმაც და ამომრჩევლებმაც მეორე ტურის არჩევანი საკუთარი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე უნდა მოახდინონ და ამ არჩევანით იპოვონ საკუთარი ადგილი."

ჩემგან:

"ქართული ოცნების " ამომრჩევლებს და მხარდამჭერებს ,ასევე ჩემს სხვა მეგობრებსაც გთხოვთ აქტიურად გაავრცელოთ, გაზიაროთ ჩვენი ეს საერთო მესიჯი. ნუ მივცემთ ნაცებს და მათ საბოლოოდ ლუსტრირებულ თანამოაზრეებს ჩვენი გაბითურების და მოტყუების შანსს!

ჩვენს წინ საქართველოს მომავალი დგას!

მეორე ტურში ჩვენი მთავარი ამოცანაა მაქსიმალური აქტიურობა და არცერთი ხმა ნაცებს!!!

ზვიად კვაჭანტირაძე

ორსულს ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, სრულფასოვანი საშვილოსნო აღმოაჩნდა

უნიკალური შემთხვევა მედალფას ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში

თემურ მარშანიშვილი

უნიკალური შემთხვევა მედალფას ოზურგეთის ცენტრში 19 ოქტომბრის გამთენიისას დაფიქსირდა. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლიდან აქ მიყვანილ ორსულ ქალბატონს ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საშვილოსნო აღმოაჩნდა. 2015 წელს ამ ქალბატონს ერთი საშვილოსნოდან საკეისრო კვეთით ამოყვანილი ჰყავს ცოცხალი დროული ნაყოფი, ორი დღის წინ კი, მედალფას ოზურგეთის კლინიკაში მეორე საშვილოსნოდან, ასევე საკეისრო კვეთით, შეეძინა მამრობითი სქესის ცოცხალი ახალშობილი. სტატისტიკურად მსგავსი შემთხვევა აღწერილია 50 მილიონი ქალბატონიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში.

„მედალფას" ოზურგეთის სამედიცინო ცენტრის მენეჯერის, გინეკოლოგ დავით მდინარაძის თქმით, რადგან ორსულ ქალბატონს აღენიშნებოდა ძალიან მაღალი არტერიული წნევა, აუცილელი იყო საკეისრო კვეთით ორსულობის შეწყვეტა:

„18 ოქტომბერს, 23 საათსა და 30 წუთზე მედალფას ოზურგეთის კლინიკაში, სასწრაფო დახმარების მანქანით, გადმოიყვანეს 35-36 კვირის ორსული ქალბატონი, ძალიან მაღალი (240 მმ 150 მმ-ზე) არტერიული წნევით. ეს იყო მისი მეორე ორსულობა და ამ ორსულობის დროს იგი ჩვენთან აღრიცხვაზე არ იმყოფებოდა. პირველ ორსულობაზე პირველი ოპერაცია - საკეისრო კვეთით ჩატარებია თბილისში.

ასეთი მაღალი წნევის დროს, დედის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე რომ არ შეექმნას, უნდა მოხდეს ორსულობის შეწყვეტა, მნიშვნელობა არ აქვს ორსულობის ვადას. ეს ორსული იყო თითქმის დროული, ამიტომ, სასწრაფოდ შევიყვანეთ საოპერაციო ბლოკში და გავუკეთეთ საკეისრო კვეთა. აღმოჩნდა, რომ ქალბატონს ჰქონდა ორი სრულფასოვანი საშვილოსნო, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, არა ორრქიანი, არა რურგიმენტი, არამედ ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საშვილოსნო, ორი საშვილოსნოს ყელით.

საკეისრო კვეთის დასრულების შემდეგ (დასრულებაში იგულისხმება ნაყოფის ამოყვანა), ერთ საშვილოსნოზე ვნახეთ ძველი ნაწიბური, რაც მოწმობდა, რომ ადრე ჩატარებული ჰქონდა საკეისრო კვეთა, მეორე საშვილოსნოზე ჩვენ გავაკეთეთ საკეისრო. ასე რომ, ამ ქალბატონმა ორი წლის განმავლობაში, ერთი წლის შუალედით, გაიკეთა ერთი ოპერაცია 2015 წელს ერთ საშვილოსნოზე, 2016 წელს კი — მეორე ოპერაცია მეორე საშვილოსნოზე. პირდაპირ გეტყვით, ასეთი რამ პრაქტიკაში არ მინახავს და არ მქონია. წაკითხვით წამიკითხავს.

თქვენც შეგიძლიათ შებრძანდეთ ინტერნეტის საძიებო სისტემაში, ჩაწეროთ „ორი საშვილოსნო" და ნახოთ. აღწერილი არის, რომ მსგავსი რამ 50 მილიონი ქალბატონიდან შეიძლება მხოლოდ ერთს აღმოაჩნდეს. ვინმე შეცდომაში რომ არ შევიდეს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, აქ საუბარია არა ორრქიან, არამედ, ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, სრულფასოვან საშვილოსნოზე, ორივეს აქვს შვილოსნობის უნარი და ორივემ ბოლომდე, ანუ 40 კვირამდე, მიიტანა ორსულობა.

ვიღაცას შეიძლება დაებადოს ასეთი კითხვა: პირველი საკეისრო კვეთა ვინც პირველი საკეისრო კვეთა გააკეთა, იმ ექიმს რატომ არ მოუვიდა აზრად ეს? მოუვიდოდა, ალბათ, მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევები, რომ ერთ ქალს შეიძლება ჰქონდეს ორი საშვილოსნო, აქედან ერთი იყოს იმდენად პატარა, განუვითარებელი, რომ იმაში ორსულობა არასოდეს არ მოხდეს, იორსულებს მხოლოდ ერთ საშვილოსნოში. ორში თუ იორსულა, ეს უკვე უნიკალური შემთხვევაა და სტატისტიკურად იმიტომ შეიძლება მოხდეს 50 მილიონი ქალბატონიდან მხოლოდ ერთის შემთხვევაში.

შეგნებულად არ ვასახელებ ამ ქალბატონის სახელსა და გვარს. ეგებ მას არ ჰქონდეს სურვილი, სხვამ გაიგოს ეს საიდუმლო".

როგორც დავით მდინარაძემ გვითხრა, რაც მთავარია, დედაც და ახალშობილიც თავს გრძნობენ დამაკმაყოფილებლად და რამდენიმე დღეში გაეწერებიან კლინიკიდან.

20 ოქტომბერი, 2016 წელი.

სამგლოვიარო განცხადება

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ვაკიჯვრის საჯარო სკოლის პედაგოგებს თემურ მოქიასა და ანა გედევანოვს დედისა და დედამთილის, კეთილშობილი ქალბატონის **ლილი სიამაშვილი-მოქიას** გარდაცვალების გამო.

ხსოვნა
თალიკო გოგელია

გარდაიცვალა ქვედა ბახვის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქალბატონი თალიკო გოგელია. მან ღირსეულად მოიხადა პროფესიული ვალი. ათეული წლები მომავალი თაობის სწავლასა და აღზრდას შეალია. მას ახასიათებდა სულიერი სილამაზე, სიკეთე, შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობა, რის გამოც გულთბილად იხსენებენ კოლეგები, მეგობრები და აღზრდილები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქალბატონი თალიკოს სული.

ქვედა ბახვის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

ნანა ჩხაიძის მოგონება

მეორედ მოვიდა უშენოდ 21 ოქტომბერი, შენი დაბადების დღე, ჩვენო ნანა.

გაუსაძლისია ის ტკივილი და მონატრება, რასაც უშენობით განვიცდით.

ენატრებათ მზრუნველი ბებო შენს გიორგისა და პატარა ანდრის.

ძალიან, ძალიან გვიჭირს უშენოდ გატარებული თითოეული დღე. გიხსენებთ, გვენატრები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო ნანა.

ანზორ და გოჩა დოლიძეები.

სამადლობელი
თქვეს და აასრულეს

მეცნიერების ქუჩა №22 ბინის მცხოვრებნი წლების განმავლობაში უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით იმის გამო, რომ ჩვენი ბინა იყო ავარიული და გადაუხურავი.

აღნიშნულ საქმეში დახმარებას შეგვპირდნენ ქალაქ ოზურგეთის მერი, ბატონი ბეგლარ სიორიძე და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ანასეული-ექადიის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი ლავრენტი ბიგვავა. მიმდინარე წლის სექტემბერში მათ სიტყვა გაანაღდეს და ბინა კაპიტალურად გადაგვიხურეს.

დიდი მადლობა ბატონებს **ბეგლარ სიორიძესა** და **ლავრენტი ბიგვავას** გულისხმიერებისა და დახმარებისათვის!

ქ. ოზურგეთის მეცნიერების №22 ბინის მცხოვრებთა სახელით,

ბადრი გორდელაძე

განცხადებები

იყიდება ბინა გრიბოედოვის ქუჩა №21-ში, I სართული, 90 კვადრატული მეტრი, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად, კომერციული საჭიროებისათვის, საოფისედ.

ტელ. 599 58 75 32.

* * *

იყიდება მიწის ნაკვეთი 9400 კვადრატული მეტრი ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით.

ტელ. 599 58 75 32.

სკანვორდი



№ 42-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — მერაბ მამარდაშვილი; ქართული ხალხური სიმღერა - ნადური; გარდაცვლილთა განსასვენებელი — სასაფლაო; ნარკოტიკით შეჭნილი ხასიათი — კაიფი; გულუბრყვილო — მიამიტი; ხევისბერი გოჩას პერსონაჟი — ძიძია; გამზრდელი — გადია; დაო გურულად — დია; მმაკაცის სახელი — ესე; სამანი ნარდში - სე; კავშირი — თუ; განთიადი — აისი; ამომგდები ძალის აღმოჩენი - პასკალი; შალის საპალტოე ქსოვილი — დრაფი; სტუმრის დამხვდური — მასპინძელი; ერთ-ერთი ცნობილი ერისთავი — ნერსე; სასჯელი იარაღი — ძელი; ქალაქი თურქეთში — ანკარა; ჰიდროელექტროსადგური თბილისთან ახლოს — ზაჰესი; ჩაის სახეობა — ლაო; ყურძნის წვენის ტკბილი ნაყენი — ბადაგი; გაუმჯობესებული მშვილდისარი — არბალეტი; მოტოციკლის სახეობა — ტრანტალეტი; მუნიციპალიტეტი მესხეთში — ასპინძა; ცხადი — აშკარა; სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში — მელექედური; მწყემსის ლაბადა — ნაბადი; საბრძოლო იარაღი — კეტი; გიგანტური თევზი — სვია; შეძახილი აღმოჩენაზე — ევრიკა; თურქმენეთის დედაქალაქი — აშხაბადი; ყვავილოვანი კომბოსტო — ბროკოლი; ანბანის მეცამეტე ასო — ნ; სოფელი მყინვარწვერთან — გერგეტი; ზამთარში ყელზე შემოსახვევი შალი - კაშნე; სოფელი სამეგრელოში — ლია; ჩამონათვალი — სია; მუსიკალური ინსტრუმენტი - დაირა; გაზაფხულის ყვავილი — ია; ვიეტნამის დედაქალაქი — ჰანოი.

შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის სიმაგრე, ოზურგეთის ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ №31-33,36-39, 41-42. 2016 წელი

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი



სამეგრელოდან ხე-ტყის ექსპორტის საქმეში, რომელიც ეგვიპტის ფაშას „დიდი ჰიდრავლიკური სამუშაოებისათვის ესაჭიროებოდა“, დაკავშირებული აღმოჩნდნენ ოდესელი დიდვაჭრები, იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ვასილის ძე ნესელროდე, ბარონი გრიგოლ ვლადიმერის ძე როზენი და თვით ხელმწიფე იმპერატორიც კი.

1835 წლის 6 აგვისტოს კარლს ვასილის ძე ნესელროდე ბარონ როზენს აუწყებდა: იმპერატორს მოახსენეს და მისთვის უკვე ცნობილია მისი ზემოხსენებული მიმართვის შინაარსი ხე-ტყის ექსპორტის თაობაზე, რომლის გარშემოც იმპერატორმა გამოთქვა შემდეგი მოსაზრებანი:

1. სამეგრელოს ტყეების განვრცობილება სასურველს ხდის შემცირდეს მისი სიდიდე, და მიწები გადაიქცეს სამოსახლო ადგილებად. ასევე სასურველია ძველი ტყეები საჭქარიდ იქნას მოხმარებული, რათა ახალ ტყეს გაზრდის საშუალება მიეცეს. უმისოდ დარჩენილი ძველი ტყე ლპობას განიცდის და უსარგებლო ხდება.

2. ის გარემოება,რომ სამომსალო წყლების მახლობლად ან სულ არ არის, ანდა ფრიად მცირეა ვარგისი საშენელო ტყე და დანარჩენი კი თითქმის სულ დაძველებულია, ხოლო ვარგისი ტყე სანაპიროებიდან შორსაა, ცხადია მისი მოჭრა და სანაპიროებამდე გზიდვა გზას გაუხსნის მოსახლეობისათვის სასარგებლო მეწარმეობას.

3. ჩვენგან ნებადართულია რომ ამ მხარეებში ყველა უცხოელმა ააშენოს ხომალდები და თავის ქვეყანაში გაგზავნოს ისინი“.

დასასრულ ეგვიპტის ფაშის — მუჰამედ ალის თხოვნაზე, სამეგრელოდან ხე-ტყის გაზიდვის შესახებ, უნდა აღინიშნოს რომ,მისი ექსპორტი უფრო სასარგებლო იქნება, ვიდრე საზიანო... ეგვიპტის ფაშას ნება დაერთოს შეისყიდოს ხე-ტყე სამეგრელოში,მაგრამ მისი შესყიდვა უნდა განხორციელდეს სავაჭრო გარიგებათა მეშვეობით, რათა ცხადად ჩანდეს, რომ ხელისუფლებას ამ საქმეში არავითარი პირდაპირი მონაწილეობა არა აქვს, და უყურებს მას როგორც უბრალო სავაჭრო გარიგებას.

1835 წლის 4 ოქტომბერს, ბარონმა გრიგოლ როზენმა ლევან დადიანს აუწყა ხე-ტყის ექსპორტის ნავარაუდევი ოპერაციების შესახებ.

1836 წელს ხე-ტყის საექსპორტო ოპერაციებთან დაკავშირებით, გურიის მხარის „ოზურგეთის ქვეყანაში“ გამოჩნდნენ საკითხით დაინტერესებული პირები: ფირმა ატკვედის წარმომადგენელი,ინგლისის ქვეშევრდომი,იაკობ მენტალ მარი, და სარდინიის ქვეშევრდომი პავლე ბოზო.

იაკობ მარი და პავლე ბოზო დაუკავშირდნენ გურიის მხარის წარჩინებულებს — დავით და გიორგი გურიელებს,თავად ალექსანდრე მაჭუტაძესა და აზნაურ ოთარ ებრალიძეს. მათ შორის გავორმებულ იქნა სათანადო კონტრაქტი, რომლის სისრულეში მოყვანა ფაქტურად მხარეში ხე-ტყის გაჩანაგებასა და განადგურებას ნიშნავდა.

თანახმად გარიგებისა, თავად ალექსანდრე მაჭუტაძესა და აზნაურ ოთარ ებრალიძეს, იაკობ მარისა და პავლე ბოზოსათვის უნდა დაემზადებინათ და მდინარეების: სუფსა-მოგროსისა და მალთაყვა-კაბარჭინას „გამოყენების“ საშუალებით ზღვამდე — ფოთის ნაპირებთან უნდა მიეზიდნათ 40 ათასი მანეთის (ვერცხლით) ღირებულების მუხის ხეები, ე.წ. „ლატკები“.

ხელშეკრულების ტექსტში ვკითხულობთ: „ათას რვაას ოცდათექვსმეტ წელს, აგვისტოს მეხუთესა დღესა, ამის ხელის მომწერნი გურიის სამთავროს თავადი პროპორშიკი ალექსანდრე მაჭუტაძე და აზნაური ოთარა ებრალიძე შეკარით ესე კონტრაქტი სარდინსკის ქვეშევრდომთა პავლო ბაზო და ინგლისის ქვეშევრდომთან იაკობ მენტალის მართან ქვემორე დასახელებული პირობითა:

ჩვენ თავადმა მაჭუტაძემ და აზნაურმა ებრიელიძემ შევიკარით მოტანად თითოეულმა ჩვენთაგანმა ოცი-ოცდახუთი ათასი ხე ანუ ლატკი მუხისა... თითოეული ლატკი ოც კაპიკად ვერცხლის ფასად. ეს პირობა რომ შეკასრულოთ და მოვიტანოთ იგი, შემდგომ ხუთი წლისა ზემორეს დაწერილის რიცხვიდამ, ეი. თვითოეულ წელს მოვიტანთ ათი ათასი ხეები ანუ ლატკები ციხეში ფოთს ანუ ნაპირზე მდინარეზე კაპარჭანას. ესე ვითარი ხეები უნდა იქნეს სიგრძით ფრანგული ფუტი, სიფართით ექვს ნახევარი დიუმა, ხოლო სისქეთი ოთხნახევარი დიუმა. მოსამზადებლად ხსენებული ხეებისა უკანასკნელ რიცხვში და აგვისტოში უნდა მოგვეცეს ჩვენ ხუთასი მანეთი ვერცხლის ფული“.

შექმნილი გარიგება შემამზოთებელი იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის. 40 ათასი მანეთი ვერცხლით ძალზე დიდი თანხა იყო, ხოლო ხაზინისა და გურიის თავადაზნაურთა ტყეები ამ დროისათვის ერთმანეთისგან გამიჯნული არ იყო. 1836 წელს იმერეთის მმართველმა რაპორტი გაუგზავნა ბარონ როზენს, კონტრაქტის დადების თაობაზე მასალები მიაწოდა და ინსტრუქცია ითხოვა რათა შეეჩერებინა საზღვარგარეთ ხე-ტყის ასეთი დიდი რაოდენობით გატანა.

როზენი იმერეთის ინტერესებიდან გამოდიოდა. გურიის ხე-ტყე მას შავი ზღვის სანაპიროებზე სამხედრო ნაგებობათა და საზღვაო სავაჭრო ხომალდების ასაგებად ჰქონდა განსაზღვრული.

გურიიდან ხე-ტყის გატანის „საექსპორტო ოპერაციებს, — წერდა იგი, — აუცილებლად მოჰყვება ამ ადგილებში ტყეების გაჩეხვა რაც დროთა განმავლობაში ჩვენ თვითონ შეიძლება დაგვჭირდეს შავ ზღვაზე სამხედრო ნაგებობათა თუ არა, სავაჭრო ხომალდების ასაშენებლად მაინც“.

ენვერ გოგუაძე

ოზურგეთის თავადაზნაურთა კაზინო

ოზურგეთის სამაზრო ქალაქად გამოცხადების 170 წლის გამო

ოზურგეთი გურიელების სატახტო ქალაქი და რეზიდენცია იყო, რომლის ისტორია შორეულ წარსულში იწყება. არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ ოზურგეთიდან ორი კილომეტრის დაშორებით, დღევანდელი ანასეულის ტერიტორიაზე, ცხრა ათასი წლის წინათ სახლობდნენ პირველყოფილი მიწათმოქმედი ტომები.

წერილობით წყაროებში ოზურგეთი მოხსენიებულია XVI საუკუნეში. გურიასა და ოზურგეთის შესახებ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდიან იტალიელი მისიონერები დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ანტონიო ჯარდინა, კლიმენტი გალანი და სხვები, რომლებიც 1628-1654 წლებში ცხოვრობდნენ საქართველოში, აქედან 7 წელი ოზურგეთში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კასტელის ჩანაწერები, საყურადღებო მონაწერებით. ოზურგეთის ისტორიული წარსულის აღწერა ეკუთვნის XVIII საუკუნის ისტორიკოსს და გეოგრაფს ვახუშტი ბატონიშვილს „ამ წყალზედ შემოქმედს ქვეთ არს ოზურგეთი სასახლე დიდმენი, კეთილაშენოვანი გურიელისა, აქვ სახლობენ ვაჭარნი სომხურიანი და ვაჭრობენ „(ვახუშტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ თბილისი,1941 წელი)

ქალაქის ოფიციალური სტატუსი ოზურგეთმა 1846 წლის 14 დეკემბერს მიიღო. როცა რუსეთის მთავრობამ მოახდინა ამერკვასიის ხელმძღვანელობა დაყოფა. ახალი დაყოფით ოზურგეთის მაზრა შედგა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში და ოზურგეთი სამაზრო ქალაქად გამოცხადდა. ოზურგეთის ისტორიული წარსულის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ცნობილი ქართველი და უცხოელი მკვლევრებისა და ისტორიკოსების -დიმიტრი ბაქრაძის, თედო სახოკიას, ეკვთიმე თაყაიშვილის ,ნიკო მარის, ნიკო ბერძენიშვილის, ნინო ხოშტარიას, თინათინ ყაუჩიშვილის, ლამარა ნებერიძის, სერგო ჟღენტის, გურამ გრიგოლიას, თეიმურაზ მიქელაძის და სხვების მიერ.

1833 წელს გურია მოინახულა შვეიცარიელმა მოგზაურმა და სიძველეების მკვლევარმა დიუბუა დე მონპერემ, რომელმაც აღწერა გურიის ძველი დედაქალაქი ვაშნარი, IV-VIII საუკუნის ძველი, ასევე აღწერა ძველი ოზურგეთი და სათანადო ჩანაწერებიც გაკეთა. ამავე ხანაში მოგზაურობდნენ გიულდენშტეტი, ჟან ფრანსუა გამა და სხვები. რომელებიც დაინტერესებული იყვნენ გურიის გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მხარის შესწავლით.

ოზურგეთის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პრუსიის სამეფოს პრინცი არბლეხტ ჰოჰენცოლერნი, რომელიც 154 წლის წინათ კერძოდ, 1862 წელს იმყოფებოდა გურიაში. საინტერესოა მისი მარშრუტი და შთაბეჭდილებები გურიის შესახებ. იგი დაფარიდან პირველად გორას რეზიდენციას ესტუმრა. ერისთავი სტუმრებს შესანიშნავი ეროვნული სადილით გაუმასპინძლდა. ცხარე ,ჰილპლმოერილი უმრავი სხვადასხვა კერძი მიართვა. უხვად და იშვათად შესანელებელი კერძები , ძალიან მოწონთ არა მარტო უცხოელებს არამედ კავკასიაში მომსახურე რუსებსაც, რომლებიც კავკასიურ საჭმელებს შეჩვეულები იყვნენ. სუფრას 16 კაცი უსხდა და 16 კაცი ემსახურებოდა. მეორე დილით ერისთავის ცოლმა ქართული წესისამებრ უცხოელ სტუმრს საჩუქარი ,საკუთარი ხელით მოსირმული წითელი ყასალი მიართვა. გორადან წამოსულებს ერთხანს წაბლის ტყეში უფლათ, ტყეში ხშირი ყოფილა ნოვეზის ხეებიც, ისე ბევრი, რომ საშენ მასალად იყენებდნენო, აღნიშნავს პრინცი ალბრეხტი. გორადან წამოსვლიდან ორი საათი იქნებოდა გასული, როცა გზაში ტყრიან ადგილას მგზავრებს თავადი დიმიტრი ქიხოსროს ძე გურიელი შეხვდა, მდიდრულ და ღია ფერის ტანსაცმელში გამოწყობილ დიმიტრის თან ახლდა 100-მდე მილიციონერი, „ასე უწოდებენ მაშინ ჯართან ერთად სახღვარზე მოსამსახურე გურულ მოლაშქრებს“ გურულ მოლაშქრებს ეცვათ გურული ტანსაცმელი, ჩაქური ხავერდის შარვლები ან გრძელი თერი შარვლები,მუხლებამდე ვიწრო პაჭიჭები, წელს ზემოთ ელადსა და ზუბუნას ზემოდან ღია წითელი ფერის ჩოხა ანუ ჯუბონი, წელზე ერტყათ ფართო ოქროს სიმით მდიდრულად ნაქარგი, ტყავის სარტყელი,რომელშიც ვაჩრილი იყო ყამა ან ხანჯალი და დამაჩა. ფეხზე ეცვათ ფერადი ფეხსაცმელები, ყველას ქონდა ჩამანახანი თოფი. უცხოელის სიტყვით გურულები მოხდენილად და მდიდრულად იყვნენ ჩაცმული. თვალს იტაცებდა გურულების სილამაზე, გრძელი ფაეხად გამოყვანილი ცხვირი, ფართო შუბლი,პატარა პირი, იაშვილი ელვარების მქონე პატარა თვალები, მუქი ესპანური სახის ფერი, ერთი სიტყვით,გურული კავკასიური რასის თითქის იდეალური ტიპია, გურულები ატარებენ მუქი წითელი ფერის,შალის ყასალებს,რომელიც თავზე მოხდენილად აქვთ მოხვეული, ყასალები კარგად იცავს თავს ცუდ ამინდში და კიდეც უხდებათ. ქრა ან წაბლისფერი ომა კარგად აქვთ მოვლილი,

სტუმრები და დამხვდური ოზურგეთისაკენ გავემგზავრეთ - აღწერს პრინცი, გზა წითელის ტყეში გავიარეთ,ერთ საათში ტყე დამთავრდა და ოზურგეთიც გამოჩნდა. ქალაქი მთავლო ადგილზე მდებარეობდა. უფრო დაბლა,სიდანაც გზა ქალაქში შედიოდა ბაზარი იყო. ბაზარში მრავალი წითელის ხე იდგა. თვითონ ბაზარი ცალკე მდგომ რამდენიმე ხის სახლს წარმოადგენდა. ქალაქში მალლობის ქიმზე (კონცხზე) ეკლესია იდგა, უცხოელი მოგზაურის სიტყვით, ოზურგეთი 1862 წელს პატარა დასახლება უფრო იყო ვიდრე ქალაქი, მაგრამ 1846 წლიდან ქალაქად იყო გამოცხადებული. ქალაქში იდგა დიმიტრი გურიელის სასახლე; ორგვლივ ფანჯრებით შემორტყმული და ქუჩიდან ღობით გამოყოფილი. სახლთან სტუმრებს შეეგება გურულად ჩაცმული და შეიარაღებული ორი მოხდენილი ახალგაზრდა, მოგზაური აღწერს დიმიტრი გურიელის სასახლეს: დიმიტრი გურიელი ორჯერ იყო ბოლოს ორი წლის წინათ პარიზსა და ლონდონში სადაც შეიძინა ძვირფასი ბრინჯაოს ნივთები, მოვარაყებულ ჩარჩოიანი სარკეები,ძვირფასი ავეჯი და სახლი ევროპული კომფორტით მოაწყო. განსაკუთრებით ერთი პატარა ოთახი, მას დაუმატე მწამალი ფერის ძვირფასი სარსული ხალიჩები თვალის მომჭრელი სითეთრის აბრეშუმი . თავის სახლში ნამდვილი აღმოსავლური ბრწყინვალეება შექმნა. დიმიტრი გურიელის საწოლ ოთახში იდო ნაბოლეონ მესამისა და ინგლისის დედოფალ ვიქტორიას სადილ-ჯახშაზე მისაწვევი ბარათები. დიმიტრი გურიელი სტუმრებს ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი სწვევია და სახოგადოების ყურადღება მიექცევა, გურიელის სახნელი თავისი მრთელობით პატარა სამკაულს გავდა - გარედან ხეთა ჩრდილით დაცული, შიგნით მწვანე შალეარით მრთელი, გვერდით იყო სტუმრების მისალები ოთახი, სადაც იდგა რამდენიმე რბილი დივანი და ყეთებში ოთახის მკერარები, რაც საკეთესო მოსასვენებლად აქცევდა ამ ოთახს. გურიელი სტუმრებთან ლაიბგვარდის ულანთა პოლკის ოფიცრის ფორმით გამოდიოდა, ხოლო მისი ამალა გურულ ჩაცმულობას ატარებდა,რაც გურიელის გარეგანაცვის დიდებულ იერს ამლევა. გურიელთან ამ დროს სტუმრობდა მისი და დესპინე ბაგრატიონი, ორი ქალიშვილით გურიელთა სადილი იყო ევროპულ სტილზე, ვერცხლის სუფრის ჭურჭლით, პრუსიის პრინცი აქებს გურიელის მნერებს და აღწერს გურულების გარეგნობას, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ „დებულება,რომ შავსა და კასპის ზღვებს შორის ადამიანთა მშვენიერესი სხეობა სახლობს

არსად ისე არ დასტურდება როგორც გურიაში,ოღონდ ეს გურულ მამაკაცებს ეხებიო, - აღნიშნავს უცხოელი სტუმარი, ქალაქები ძალიი ადამიანებისანი არან, მხოლოდ ლამაზები. გურულ მამაკაცებზე უმშვენიერეს ვერაფერს ნახავთ და აღწერს მის ტანადობას, ძალოვნებას, კანის ფერს, წვერს, თვალებს, კბილებს, განიერ მკერდს, სწორ თეძოებს, მკლავებს, ჩაცმულობას და შეიარაღებას, რაც ყველაფერი ერთმანეთის შესაფერია, და აღნიშნავს,რომ მხოლოდ ამის მნახველი ევროპელი გაიგებს, რა უპირატესობა აქვს კავკასიურ რასას სხვებთან შედარებითო, განსაკუთრებით მოსწონებია ოზურგეთის თავადაზნაურთა კაზინოში სტუმართა პატივსაცემად გამართული ბალი,რომელსაც 300 კაცი ესწრებოდა. ოზურგეთი ფაქტურად ქალაქი არც კი, კაზინო კი აქვსო - უკვირს უცხოელს, კაზინოს შენობა მეორე ყოფილა სიდიდით სამზრო- სამმართველოს შენობის შემდეგ. კაზინო იყო ცენტრი მთელი გურიის, მისი წარჩინებული საზოგადოებისა. რუსი მოხელე აქ რამდენიმე იყო. ბრწყინვალე ბალი სტუმარს წარუშლელ მოგონებად დარჩენია: „კავკასიაში მოგზაურობის დროს ასეთი რამ არ მინახავს და ამ შთაბეჭდილებას ვერ ფარავსო თვით მოსკოვის კრემლის სასახლეში რუსეთის იმპერატორის კარზე მოწყობილი ბალის გასხენებაც. უზარმაზარ დარბაზში ბრწყინვალე განთებით და შემკულობითო. ამის მიზეზი სწორედ გურული მამაკაცებისა და ქალების ეროვნული ჩაცმულობაა,ევროპაში ოფიცრები და კარის მოხელეები ფორმას, ხოლო ქალებისაალო ტანსაცმელს საგანგებოდ იცვამს. გურიაში კი მას ჩვეულებრივ ატარებენ და და საზეიმო შემთხვევაში მხოლოდ სამკაულებს უმატებენ. დასავლეთში ადამიანი საზეიმო ვითარებაში სულ სხვა, ვიდრე ჩვეულებრივ ცხოვრებაში - ღილებშეკრული და გაჭიმული, ფორმალური, აქ კი გზაშინადირობასა და სახლში ერთნაირად აცვია, ევროპაში იარაღს ატარებენ განსაკუთრებულ შემთხვევაში აქ კი ყოველთვის. ბალზე სტუმრებმა ფრანგული ცეკვა იცეკვესერისათვის ერთ-ერთ ასულთან და მაზრის უფროსის მეუღლე ქალბატონ პრინცთან. (პრინცი მაზრის უროსის ვგარი იყო,) ბალზე ცეკვავდნენ ავსაზურს და ლეკურსმალი შუაღამემდე გაგრძელდა. მეეროდენ ოთხმაინ მენალქალიერ სიმღერებს, ტექსტი არ გვსმოდა,მაგრამ ეს მელოდიის მომხიბვლელობამ დაგვაფიყო, აღნიშნავს სტუმარი. განსაკუთრებით კარგად მღეროდა ორი კაცი და ორი ქალი,ეს სიმღერა კავკასიური მუსიკის ფაფალი იყო,- აღტაცებულია პრუსიის პრინცი. რაც პრუსელებს კავკასიაში ენახათ, ყველაფრისაგან განსხვავებული იყო გურულების სიმღერა, ცეკვა და იარაღით ვარჯიში,რაც სტუმრებს გურიელის მილიციონერებმა აჩვენეს. გურულების განსხვავებული ხასიათი გამოჩნდა ერთ ცეკვაში, რომელიც იარაღით სრულდებოდა: მოცეკვე ებრძოდა მტერს(მეორე მოცეკვეს) მიწაზე ანარცხებდა მას და კლავდა, ამის შემდგ იწყებოდა ცეკვის მეორე ნაწილი; გამარჯვებული ცეკვით გამოხატავდა დალუბულისადმი დიდი თანგრძნობას და პატივმცემით აჩვენებდა ამის შესაბამის ძალურ განცდას. შემდგ დიდი სინაზით ეხვეოდა მიწაზე მწოლიარეს,ეკონდა მას, ცდილობდა მის მოცოცხლებას,სულის ჩადგმას და მისი მოკვლის გამო უდიდეს სინანულს გამოხატავდაყოველივე ეს სანახავად ძალიან ტრაგიკული იყო. ამის შემდგ მოკლულზე თითქის მოჭიდებდა მისი მკვლელის მოგერება და სინანული. იგი ნელანელა ცოცხლდებოდა, რასაც მყურებელთა და ამ სანახაობის მონაწილეთა დიდი სერთო სიხარული მოსდევდაეს ცეკვა დამახასიათებელია გურულების ბუნებისთვისო, - აღნიშნავს პრინცი. 30 ოქტომბერს დილით გამიშვებობებისას სტუმრებს ალუბლის სასმელი მურაბა მიართვეს. გურიის მილიციამ სტუმრებისთვის საჭვენელი ბრძოლა და ჯვრითი მოაწყო. ოზურგეთიდან სტუმრები ნეგოითის გაეგზავნენ თავად მაჭუტაძის მამულში. პრუსელი პრინცის მოგონებათა წიგნი იმ დროს საქართველოში მყოფი მუნჰენელი მხატვრის ჰოლშელტის ფერადი ნახატებითაა დასურათებული,ჰორშელტს დაუხატავს სახლი ეორაზე. გურული მილიციის ტიპი და სხვა” (ქველი ჩხატარაშვილი “ გურია უცხოელის თვალით”).

როგორც ზემოთ აღნიშნეთ 1862 წლის სექტემბერი - ოქტომბერში საქართველოში თავისი ამალით და რუსეთის მოხელეებისა და კაზკა რაზმის თანხლებით იმოგზაურა პრუსიის სამეფოს პრინცმა ალბრეხტ ჰოჰენცოლერნმა. 1865 წელს მან ბერლინში გამოსცა ამ მოგზაურობის აღწერა „ მოგზაურობა კავკასიაში 1862 წელს“,რომელშიაც როგორც გადმოგვცემენ ,რამდენიმე გვერდზე აღწერილია მისი ყოფნა გურიაში 1862 წლის 29 ოქტომბრიდან 16ოემბრამდე. პრუსიის პრინცის შთაბეჭდილებები კარგად წარმოაჩენს 154 წლის წინანდელ ოზურგეთის საქალაქო ცხოვრებას.

მანანა ლომაძე
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველ 72 ოჯახს სამშენებლო მასალები გადასცეს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ, 28 სოფელში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ 72 ოჯახს სამშენებლო მასალები გადასცა,- ამის შესახებ ინფორმაციას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ავრცელებს.

გამგეობის ცნობით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 72 ოჯახმა, 165 857 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები: თუნუქი, არმატურა, ცემენტი და ხეობა მიიღო.

გურიაში საბავშვო ბაღებს ახალი ატრაქციონები გადასცეს

პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა საბავშვო ბაღების მენეჯმენტში“- ფარგლებში დღეს გურიაში ახალი თანამედროვე სათამაშო ატრაქციონები დარიგდა.

რეგიონის რვა სამიზნე სააღმზრდელო დაწესებულებებში საბავშვო ატრაქციონები მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიიტანეს.

„აღნიშნული პროექტის ფარგლებში გურიის რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტში მოხდება საბავშვო ბაღების მიერ მომხმარებელთათვის გაწეული სერვისების დახვეწა 8 საბავშვო ბაღის მაგალითზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. კეთილმოეწყობა საბავშვო ბაღების ეზო, სადაც განთავსდება თანამედროვე სათამაშო ატრაქციონები. ჩატარდება სემინარები. ასევე იგეგმება ოთხივე მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის ვებ-გვერდის მომზადებაც, სადაც განთავსებული იქნება ბაღში ბავშვების მიღების წესები, ბაღების შინაგანაწესი, მენიუ. შესაძლებელი იქნება მშობლების მიერ ონლაინ რეგისტრაციის გავლა და ა.შ.“- განაცხადა გურიის გუბერნატორის მოადგილემ, ქეთევან მოისწრაფეშვილმა.

პროექტს „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი“ გურიის სამხარეო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით ახორციელებს. იგი დაფინანსებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში.

ოზურგეთელ კალათბურთელთა წარმატება

2016 წლის 14-16 ოქტომბერს ქ. ფოთში ჩატარდა ვაინარ სუხიშვილის სახელობის ტურნირი კალათბურთში 2003-2004 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. სადაც მონაწილეობა მიიღო ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა და დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი. გუნდის წევრები დაჯილდოვდნენ ბრინჯაოს მედლებით. ამ გამარჯვებაში თანაბარი წვლილი მიუძღვის გუნდის თითოეულ წევრს, მაგრამ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი: სერგი გეწაძემ, რომელიც გუნდის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა და სპეციალური პრიზითაც დაჯილდოვდა, ასევე სპეციალისტების მოწონება დაიმსახურეს თორნიკე მახარაძემ, რომელმაც რვიდან შვიდი სამქულიანი ზუსტი სროლა განახორციელა და ლუკა ტრაპაიძემ, რომელიც სტაბილური თამაშით გამოირჩევა. გუნდი მოამზადა მწვრთნელმა აზა მჟავანაძემ.

გუნდი განაგრძობს მზადებას მომავალ ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად და მადლობას უხდის მხარდაჭერისათვის ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორს ბატონ გოჩა კვანტალიანს.

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს ზიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

(რ)

ბოლო სპექტაკლი ძველ დიდ სცენაზე

ალიონი. გასულ პარასკევს, 21 ოქტომბერს ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა პროფესიულმა თეატრმა ბოლო სპექტაკლი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ გამართა ძველ დიდ სცენაზე. შემდეგ სპექტაკლს და ეს იქნება პრემიერა ლაშა თაბუკაშვილის პიესისა „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, მცირე სცენაზე გამართავს, ხოლო გურიანთის კულტურის სახლის რემონტის დამთავრების შემდეგ, ვიდრე განახლებული თეატრის ლენტის გაჭრამდე, ანუ მინიმუმ ორი წლის განმავლობაში შემოქმედებით საქმიანობას ამ კულტურის სახლში განახორციელებს.

„ჩვენი პატარა ხელებით ბუნებას მოვეშველებით“

ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეები ვიწყებთ პროექტს „ჩვენი პატარა ხე-ლებით ბუნებას მოვეშველ-ებით“.

ჩვენ გვინდა სუფთა ჰაერი, ჯანსაღი ბუნება, რომ გავიზარდათ ჯანმრთელნი და გონიერები, გავაკლიეროთ ჩვენი სამშობლო.

ვთხოვთ ქალაქის ყველა მცხოვრებს, სკოლებს, წარმოება-დაწესებულებებს ჩაებან ჩვენს პროექტში, დავრგოთ ქუჩებში, ყოველ ხუთ მეტრში ხეხილოვნები, ცაცხვი, ფიჭვი, ნაძვი, ნეკერჩხალი. ჩვენი ეზოების მიმდებარე ტერიტორიებზე გავაშენოთ ყვავილნარები.

მოვაწყოთ შაბათობები და ავაყვავოთ ჩვენი ქალაქი.

გვაქვს ქალაქის მერიისა და მედიასაშუალებების მხარდაჭერის იმედი.

„მერცხალმა“ გასვლითი მატჩი მოიგო

ალიონი. საქართველოს ფეხბურთელთა პირველობის მეორე ლიგის დასავლეთ „ბ“ ზონის მე-9 ტურის მატჩში ოზურგეთის „მერცხალი“ ხობში, ადგილობრივ „კოლხეთი 2“-ს შეხვდა. ოზურგეთელებმა შეძლეს გოლის გატანა (ჩიგოგიძე) და მინიმალური ანგარიშით მეტოქის დამარცხება, რამაც მათ 3 ქულა მოუტანა.

9 ტურის შემდეგ „მერცხალს“ 19 ქულა (6 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება, ბ/შ 13:5) აქვს, მესამე ადგილზეა და ლიდერებს ქედის „ბეთლემს“ და სენაკის „ეგრისს“ დაუახლოვდა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

24 ოქტომბერი, ორშაბათი	25 ოქტომბერი, სამშაბათი	26 ოქტომბერი, ოთხშაბათი	27 ოქტომბერი, ხუთშაბათი	28 ოქტომბერი, პარასკევი	29 ოქტომბერი, შაბათი	30 ოქტომბერი, კვირა
მცირე წვიმა +9+15	მცირე წვიმა +8+13	მცირე წვიმა +5+11	მზე, ღრუბელი +8+17	ღრუბელი +11+17	მცირე წვიმა +9+13	მცირე წვიმა +3+10